პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 178 (5208)

8 სექტემბერი, კვირა. 1974 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოლუმბიაში გამგზავრებამდე

15 სექტემბერს კოლუმბიაში სტარტს აიღებს ქალთა VI საჭადრაკო ოლიმპიადა, ანუ მსოფლიოს გუნდური პირველობა. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში არიან მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, საერთაშორისო ოსტატები ნ. ალექსანდრია და ი. ლევიტინა (სათადარიგო მოთამაშე).

დღეს ჩვენი მოჭადრაკეები კოლუმბიას გაემგზავრებიან. მთელი აგვისტოს განმავლობაში საბჭოთა გუნდის წევრები თავიანთ მწვრთნელებთან — სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელთან, საერთაშორისო ოსტატ ა. კონსტანტინოპოლსკისთან და დიდოსტატ ა. გიპსლისთან ერთად მეცადინეობდნენ ბორჯომში, სანატორიუმ „ლიკანში". სწორედ აქ შეხვდა მათ ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი. გთავაზობთ საუბრის ჩანაწერს.

ა. კონსტანტინოპოლსკი. საბჭოთა მოჭადრაკე ქალები ოლიმპიადაში მეექვსედ მიიღებენ მონაწილეობას. მათ ხუთივეჯერ მოიპოვეს ჩემპიონის ოქროს მედლები. ნონამ ოთხ ოლიმპიადაში ითამაშა, ნანამ და ირინა ლევიტინამ — თითო ოლიმპიადაში.

— ლიკანში წინა ორი ოლიმპიადისთვის ვემზადებოდით და დიდად კმაყოფილი დავრჩით. ბორჯომის ხეობა ძალიან ჰგავს კოლუმბიას. ამიტომ მუსამედ ვეწვიეთ თვალწარმტაც ხეობას. მაგრამ ამჯერად სანატორიუმის ადმინისტრაცია უგულოდ შეგვხვდა, არ გვლებულობდა, თუმცა საგზური ყველას გვქონდა. საჭირო შეიქნა ზემდგომი ორგანოების ჩარევა. ნაყოფიერად ვიმეცადინეთ და ვფიქრობ, ოლიმპიადაში არც ამჯერად შევრცხვებით.

ა. გიპსლისი. ქალთა ოლიმპიადაში მეორედ მივიღებ მონაწილეობას, რა თქმა უნდა, როგორც გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი. მოჭადრაკე ქალებმა მუყაითად ივარჯიშეს და კარგ სპორტულ ფორმაშიც არიან.

მიმაჩნია თუ არა ფიშერი გენიოსად? წარმოიდგინეთ, რომ არა. იცით რატომ (გიპსლისი — იღიმება)? 1967 წელს სუსში მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში მოვუგე მას: ფიშერი ჩემთან სათამაშოდ არ გამოცხადდა და ჩემი პირველი სვლის შემდეგ პარტია წაგებულად ჩაეთვალა.

ნ. გაფრინდაშვილი. ჩვენს მთავარ მეტოქედ ოლიმპიადაში უნგრეთის გუნდი მიმაჩნია. მის შემადგენლობაში არიან უძლიერესი ოსტატები ჟუჟა ვერეცი და მარია ივანკა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მათ სრულფასოვანი ცვლა არ ჰყავთ.

რით ვხსნი ქართველი მოჭადრაკე ქალების წარმატებებს? სიბეჯითით, მონდომებით, დისციპლინის დაცვით, რაც, სამწუხაროდ, ჩვენს ვაჟებს არ ახასიათებთ.

„ლელო" ინტერვიუ

ბორჯომში საუცხოოდ დავისვენეთ და ვიმეცადინეთ. ბორჯომელებმა კარგი საჭადრაკო კლუბი ააგეს. იგი რაიონის მესვეურთა მონდომების შედეგია. საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველმა მდივანმა შოთა ჭალაგანიძემ გამაცნო რაიონის განაშენიანების პერსპექტიული გეგმა და სურვილი გამოთქვა უმასპინძლოს ჩვენს ტრადიციულ ქალთა ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირს.

ნ. ალექსანდრია. ლიკანში პრაქტიკული ვარჯიშის პარალელურად დიდ ყურადღებას ვაქცევდი ფიზიკურ მომზადებას.

ლევიტინა ჩემი მეტოქეა პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში, ამიტომ გთხოვთ მასზე ნუ მალაპარაკებთ. ჯერჯერობით ჩემი საიდუმლოებაა, თუ როგორ მყავს იგი წარმოდგენილი.

ი. ლევიტინა. ალექსანდრია რომ ძლიერი მოჭადრაკეა, ეს ყველამ იცის. ჩვენს მომავალ მატჩზე მეტს ვერაფერს გეტყვით. სამაგიეროდ, მინდა გაგიზიაროთ ჩემი სიხარული საქართველოს გაცნობით. მუდამ ვგრძნობდი, რარიგ ძლიერად უყვართ ჭადრაკი ქართველებს. ამ სიყვარულის დასტურია ბორჯომ-პარკში მშვენიერი საჭადრაკო კლუბის გახსნაც.

# ჩემპიონი დამარცხდა

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში გრძელდება ყრუ-მუნჯ მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალი. გათამაშდა კიდევ ორი (II, III) ტური.

II ტურში დამარცხდა სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი პ. სამოხინა (ოდესა). მას ლენინგრადელმა ე. გრიგორიევამ მოუგო. მეორე დღეს გრიგორიევამ კიშინიოველი თ. ილინაც დაამარცხა და 3 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

წარმატებით იბრძოლა ვ. ვოლიუვაჩმაც (ხარკოვი). ლენინგრადელ ლ. გაივორონოვასთან გამარჯვების შემდეგ იგი სამოხინას დაეწავლა და 2,5 ქულით ლიდერს ქვემო ჩაუდგა. ვოლიუვაჩს დაეწია ალმაათელი გ. გრებერი, რომელმაც ზედიზედ სძლია ლ. ანდრიევსკაიასა (ფრუნზე) და ს. პაშკევიჩს (ლვოვი).

უხეიროდ დაიწყო ტურნირი თბილისელმა რ. ტარმინოვამ, რომელმაც კიდევ ორი პარტია წააგო — ა. ვოლკოვასთან (ვოროშილოვგრადი) და ფ. ნიგმატზინოვასთან (ყაზანი).

* * *





სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონის პ. სამოხინას (მარჯვნივ) და ახალგაზრდა ე. გრიგორიევას შეხვედრა.

პ. ზარგარიანის ფოტო.

# ფრთებშეჭრილი ლიდერი

სიეტლი, 5 სექტემბერი. სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა, რომელიც ტურნეს ატარებს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში, დასკვნები გამოიტანა ლოს-ანჯელესში წაგების შემდეგ და ამჯერად ისე ააგო თამაში მასპინძელ ქვეყნის ნაკრებთან, რომ მინიმუმამდე შეუზღუდა სამოქმედო ასპარეზი დ. ტომსონს.

ტომსონი მრავალმხრივი სპორტსმენია, ერთნაირად კარგად თამაშობს როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში, მაგრამ ერიდება მჭიდრო მეურვეობას და მისი პარტნიორებიც ერთთავად იმის ცდაში არიან, რომ როგორმე გაუხსნან სამოქმედო ასპარეზი თავიანთ ლიდერს. სსრ კავშირის ნაკრებმა სწორედ ეს გარემოება გაითვალისწინა და, როგორც აღვნიშნეთ, მაქსიმალურად შეზღუდა ტომსონის მოქმედების სფერო. ფრთებშეჭრილმა ლიდერმა პირველ ტაიმში ვერ მონახა მოედანზე ადგილი და თავის გუნდს მხოლოდ 3 ქულა შესძინა.

სტუმრების უპირატესობა შესვენების შემდეგაც საგრძნობი იყო. ერთს მომენტში სსრ კავშირის კალათბურთელები 15 ქულითაც (68:53) კი დაწინაურდნენ. შემდგომში, როცა მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი ჩანდა, ამერიკელებმა შეამცირეს ანგარიშში სხვაობა, მაგრამ წარმატების შანსი მათ არც იმ დროს ჰქონიათ. შეხვედრა დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 79:70 (36:33).

საბჭოთა ნაკრებში კვლავ ბრწყინვალედ ითამაშა კიეველმა ა. სალნიკოვმა (36 ქულა).

სსრ კავშირის ნაკრები მომდევნო მატჩს ჩაატარებს სპოკანში, ქალაქში, სადაც გახსნილია გამოფენა „ექსპო-74".

... 19 45

◆ სპოკანი (აშშ), 7 სექტემბერი. აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების მესამე ამხანაგურმა მატჩმა. გაიმარჯვეს ამერიკელებმა — 82:61 (58:33).

... 19 45

◆ როტერდამი, 7 სექტემბერი. ასეპრიან შაშში ჰოლანდიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების აქ გამართული ტრადიციული, რიგით მერვე მატჩი სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა — 11:9. ეს საბჭოთა მოშაშეების მეშვიდე წარმატებაა ამგვარ შეჯიბრებებში. ჰოლანდიელებმა მხოლოდ მარშანდელ მატჩში შეძლეს საყაიმო შედეგის მოპოვება.

# პირველი შედეგები

სოხუმი, 7 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინწინ აქ საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის გ. ქარსელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი.

მონაწილენი სატურნირო ცხრილში წილისყრით ასე განლაგდნენ: 1. ოსტატობის კანდიდატი გ. ზაიჩიკი (თბილისი), 2. ოსტატი ე. ბუხმანი (ლენინგრადი), 3. ოსტატი მ. მუხინი (ალმა-ათა), 4. ოსტატი ა. ვოორემაა (ტალინი), 5. ოსტატი ა. ტუზოვსკი (სოხუმი), 6. ოსტატი დ. ჯანოევი (თბილისი), 7. ოსტატი ჯ. ბერაძე (წყალტუბო), 8. ოსტატი ს. როზენბერგი (მოსკოვი), 9. ოსტატი მ. ცეიტლინი (მოსკოვი), 10 ოსტატი ბ. კატალიმოვი (ალმა-ათა), 11. ოსტატი ა. ბოკუჩავა (თბილისი), 12. ოსტატი ე. ვლადიმიროვი (ალმა-ათა), 13. ოსტატობის კანდიდატი ზ. მიქაძე (თბილისი), 14. ოსტატი ი. ჩიქოვანი (თბილისი).

გუშინ I ტურის დაწყების წინ მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს გამოჩენილი მწვრთნელის ხსოვნას.

საუცხოო სტილით გაიმარჯვა ბერაძემ. ძველინდურ დაცვაში მან დაასწრო როზენბერგს ფიგურების განვითარება და იერიშიც. პაიკთა დაბოლოებაში, რომელიც ყაიმით უნდა დამთავრებულიყო, ჯანოევმა უსწოროდ ითამაშა და დამარცხდა ცეიტლინთან.

ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: ბუხმანი — მიქაძე, მუხინი — ვლადიმიროვი, ბოკუჩავა — ვოორემაა.

ტუზოვსკის კატალიმოვთან გადადებულ პარტიაში პოზიციური უპირატესობა აქვს. გამოტოვებულია ზაიჩიკ — ჩიქოვანის პარტია.

მემორიალი 24 სექტემბრამდე გასტანს.

რ. კაკიაშვილი,
მემორიალის მთავარი მსაჯი,
საერთაშორისო არბიტრი.

# მოჭადრაკე... 6 წლისაა

„რატომ შეიტანა თავის წიგნში ძია ფიშერმა ასეთი იოლი ამოცანები?" — იკითხა დელის მცხოვრებმა 6 წლის, ვიშვანატხ აპტემ, რომელმაც ერთ საათში გადაწყვიტა 80 საჭადრაკო ამოცანა ბროშურიდან „ბობი ფიშერი ასწავლის ჭადრაკის თამაშს".

ჭადრაკის სვლები ვიშვანატხმა ერთი წლის წინათ შეისწავლა და მოკლე დროში მოუგო თავის მამას, რომელმაც იგი ჭადრაკის ანბანს აზიარა. იმავე 1973 წელს ნიჭიერმა ბიჭუნამ I ადგილი დაიკავა უმცროსკლასელთა შორის, 840 პარტიიდან 240 მოიგო.

პახარგანჯის რაიონის დაწყებითი სკოლის II კლასის საუკეთესო მოსწავლე ვიშვანატხა თანატოლებისგან გამოირჩევა დაფიქრებულობით და ასაკისთვის შეუფერებელი საჭადრაკო კომპოზიციის გრძნობით. სწორედ ამ თვისებების გამო იგი იოლად აღწევს პირველ წარმატებებს.

სულ ახლახან ინდოეთის საჭადრაკო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის რამამურტის თანდასწრებით ჭაბუკმა მოჭადრაკემ ქალაქ დელის მეოთხე მოჭადრაკეს მოუგო. რამამურტი, რომელიც ამ უჩვეულო ორთაბრძოლის არაოფიციალური მსაჯი გახლდათ, დაუფარავი განცვიფრებითა და აღტაცებით ამბობს: „ვიშვანატხის თამაშში იგრძნობა თვითმყოფადი ტაქტიკური ალღო. ამ ბიჭუნას უდავოდ უდიდესი მომავალი აქვს".

ნ. კოლცოვი.
(საკუთარი კორ.).

დელი.

# მოსკოვში უნდა გაიმართოს!

„თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო კავშირის სახელით ჩვენ ერთსულოვნად გამოვთქვამთ სურვილს, რომ 1980 წლის ოლიმპიური თამაშები მოსკოვში ჩატარდეს". საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისადმი ასეთი მიმართვა მიიღო თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო კავშირის კონგრესმა, რომელიც 5 სექტემბერს გაიმართა მოსკოვში.

ამ მიმართვის თაოსანი საერთაშორისო კავშირის საპატიო ვიცე-პრეზიდენტი ე. ფრიდი (ავსტრია) გახლავთ, რომელმაც აღნიშნა, რომ მოსკოვში თანამედროვე ხუთჭიდში ახლახან დამთავრებული მსოფლიო ჩემპიონატი თავიდან ბოლომდე ჩინებულად იყო მოწყობილი.

კონგრესმა 1975 წლის მსოფლიო ჩემპიონატების თარიღებიც დაამტკიცა. იუნიორები აგვისტოს მიწურულს იასპარეზებენ მონრეალში, ხოლო უფროსები ოქტომბრის დამლევს შეეჯიბრებიან ერთმანეთს მეხიკოში. მიიღეს პოლონეთის ფედერაციის წინადადება: პოლონელები იუნიორ ხუთჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატს 1976 წელს ზელენა-გურაში იწვევენ.

1975 წლის მარტიდან ოქტომბრამდე ხუთჭიდოსნების რაინდებისთვის 30-ზე მეტი ტურნირის გამართვას ვარაუდობენ. ეს შეჯიბრებები ჩატარდება დიდ ბრიტანეთში, ბულგარეთში, ჰოლანდიაში, იტალიაში, პოლონეთში, სსრ კავშირში, ჩეხოსლოვაკიაში, შვეციაში, საფრანგეთში და სხვა სახელმწიფოებში.

საქინი ტელეგრაფით

# მონღოლი ფიზკულტურელების დღე

ულან-ბატორი, 6 სექტემბერი. მასობრივი შეჯიბრებებით აღნიშნეს აქ მონღოლმა ფიზკულტურელებმა თავიანთი დღე.

ქვეყანაში სპორტული მოძრაობის ფართოდ დანერგვის წყალობით მონღოლური სპორტი თანდათან მტკიცედ იპყრობს პოზიციებს საერთაშორისო სარბიელზე. მხოლოდ წლევანდელი წლის პირველ ნახევარში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებმა 90 მედალი მოიგეს საერთაშორისო შეჯიბრებებში, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონატებში.

მონღოლ ათლეტებს განსაკუთრებით კარგად იცნობენ თავისუფალი ჭიდაობის, სამბოს, მშვილდოსნობისა და კრივის სამყაროში. პირველ სამ სახეობაში მონღოლეთმა წლეულს მსოფლიო ჩემპიონთა ოჯახს შემატა თავისი წარმომადგენლები.

# გზა გადავუღობოთ პროტექციონიზმს!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელმა დადგენილებამ „რესპუბლიკაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ დიდი გამოხმაურება და მოწონება ჰპოვა რესპუბლიკის მშრომელებში. მართლაც, პროტექციონიზმს ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები ჩვენში და ამ მახინჯმა მოვლენამ დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს წინსვლას. სწორედ ფართოდ გავრცელებული პროტექციონიზმის მიზეზია, რომ ბევრი ულირსი ადამიანი ძმაბიჭობის, ნათესაობის, ოჯახური ურთიერთობის წყალობით უკანონოდ იკაფავდა გზას სხვადასხვა თანამდებობის მოსახვეჭად, უმაღლესი ცოდნის მისაღებად.

პროტექციონიზმმა ჩვენი საქმიანობის ყველა სფეროში რომ გაიდგა ფესვი და დაგვამუხრუჭა, ეს ახლა ყველასთვის ნათელია. „პროტექციონიზმი რყვნის ჩვენი ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის ზნეს, წარმოშობს ცინიზმს, ნიჰილიზმს, სხვისი შრომის პროდუქტებისადმი და საერთოდ უფროსი თაობის დამსახურებისადმი უპატივცემლობას ერთ ნაწილში, ზერელობას, მომხმარებლურ განწყობილებას, პარაზიტული ცხოვრებისადმი მისწრაფებას — მეორე ნაწილში. ცალკეული ახალგაზრდა ადამიანების შეგნებაზე გამრყვნელი ზემოქმედება ვლინდება, აგრეთვე, სამსახურში იოლი დაწინაურებისადმი მათი არაჯანსაღი მისწრაფებით, „კარიერიზმით“, — ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში.

პროტექციონიზმს ფართოდ ჰქონდა მოკიდებული ფეხი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაშიც. განა ცოტა იყო შემთხვევა, როცა უპირატესობა ეძლეოდა ნათესავს, მეგობარს, ახლობელს ხელმძღვანელი კადრების განაწილების დროს? სწორედ ამის გამო იყო, რომ ხშირად სამსახურიდან ათავისუფლებდნენ კეთილსინდისიერ მუშაკებს, მათს ადგილებზე თვითნებურად ნიშნავდნენ ნათესავებს, ძმაბიჭებს, „ზემოდან“ ტელეფონით ნაკარნახევ ადამიანებს.

როგორი მოწონება გამოიწვია ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებამ ღირსეული ფიზკულტურული მუშაკებისთვის, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭებამ. შეარჩიეს ღვაწლმოსილი, გამორჩეული ადამიანები, რომლებიც მართლაც ღირსნი იყვნენ ამ საპატიო წოდებისა. სამწუხაროდ, მათს გვერდით გამოჩნდნენ ისეთებიც, ვისაც რესპუბლიკის სპორტული სამყარო ნაკლებად, ან სრულებით არ იცნობდა.

ხშირად ასეთივე მანკიერი მაქინაციებით ხდებოდა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდების მინიჭებაც.

იყო ბევრი შემთხვევა, როცა მოსწავლეთა საკავშირო ასპარეზობებში მონაწილე ნაკრებ გუნდებში შეჰყავდათ სპორტსმენები, რომელთა მომზადების დონე აშკარად ჩამორჩებოდა იმ ახალგაზრდების ოსტატობას, რომლებიც ნაკრები გუნდების სიის მიღმა რჩებოდნენ. ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ ძმაკაცებისთვის, ნათესავებისთვის პატივი ეცათ, დახმარებოდნენ. მაშინ ხომ კანონად იყო ქცეული: თუკი საშუალო სკოლის მოსწავლე რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრი გახლდათ, მას უმაღლესი სასწავლებლის გზა ხსნილი ჰქონდა. სინამდვილეში ეს ახალგაზრდები სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ: როგორმე უმაღლეს სასწავლებელში შევყო თავი და სპორტს ჯანაბამდე გზა ჰქონიაო.

ფიზკულტურის ინსტიტუტშიც არ იყო საქმე მაინცდამაინც ისე დაყენებული, როგორც საჭიროა. პროტექციის წყალობით აქ ხშირად ეწყობოდნენ სპორტისგან შორს მდგარი ჭაბუკები და ქალიშვილები. ისინი მათთვის უცხო და შეუფერებელი საგნების დაუფლებას ვერ ახერხებდნენ, მაგრამ რაღაც მანქანებით ამთავრებდნენ უმაღლეს სასწავლებელს, დიპლომს იღებდნენ და ფიზკულტურასა და სპორტში სამუშაოდ კი არ მიდიოდნენ, „სარფიან“ საქმეს ეკიდებოდნენ. ეს ხდებოდა მაშინ, როცა რესპუბლიკის ბევრ სკოლაში, განსაკუთრებით მთიან რაიონებში, მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას მათემატიკოსები, ფილოლოგები თუ სხვა დარგების სპეციალისტები ეწეოდნენ.

რედაქციას ხშირად მოსდის წერილები რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან, რაიონიდან, რომლებშიც გულისწყრომაა გამოთქმული რესპუბლიკის საფეხბურთო პირველობის მატჩებში მიკერძოებული მსაჯობის თაობაზე. ბევრი ფაქტი სიმართლეს შეიცავს. ხდება ასეც: მსაჯს არ უნდა აწყენინოს ერთ-ერთი მეტოქე გუნდის ხელმძღვანელს, სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს და თამაშის წესების დარღვევას „ვერ ამჩნევს“ „მეგობრის“ გუნდის სასარგებლოდ. მან ალბათ იცის, რომ ასეთი მსაჯობით ჩვენი ფეხბურთის წინსვლას ამუხრუჭებს, მაგრამ იმდენად გამჯდარი აქვს ძვალ-რბილში პროტექციონიზმი, რომ დანაშაულს არად აგდებს.

ჩვენი მოწინავე სპორტსმენები, გუნდები, ჭაბუკები და ქალიშვილები განებივრებული როდი არიან სპორტულ ნაგებობათა ფართო ქსელით, სპორტინვენტარითა და სხვა აღჭურვილობით. სპორტული ბაზების მხრივ საქართველო ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა სსრ კავშირში... რაც გაგვაჩნია, იმასაც ხშირად ვერ ვუვლით, დაბალია სპორტული ბაზების სარემონტო სამუშაოების ხარისხი. ან რა ხარისხზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მაამებლობის, წაყრუების, პროტექციონიზმის მეოხებით სპორტულ ნაგებობათა მშენებლობისა თუ შეკეთებისთვის განკუთვნილი თანხის დიდი ნაწილი ხშირად ულირს ადამიანთა საკუთრება ხდებოდა. წლების მანძილზე რესპუბლიკის სპორტკომიტეტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსად მუშაობდა ვინმე გ. გვილავა, რომელსაც ოდნავადაც არ აღელვებდა ჩვენი სპორტული ბაზების და, საერთოდ, ქართული სპორტის ბედი. მან რაღაც მანქანებით 148 ათასი მანეთით გაზარდა შესრულებულ სამუშაოებში დახარჯული თანხა. ეს ყალბისმქმნელი წლების მანძილზე ისე პარპაშებდა, რომ ერთხელაც არ მოფიქრებიათ შეემოწმებინათ, სააშკარაოზე გამოეყვანათ. პირიქით, ყველა პატივისცემით ეპყრობოდა, ამბობდნენ ჩვენი კაციაო და ეს „ჩვენი კაცი“ ათას ბოროტმოქმედებას რომ ჩადიოდა, ამას ვერ ამჩნევდნენ.

რესპუბლიკის სპორტკომიტეტის საწყობში დიდი, 126 ათასი მანეთის დანაკლისი აღმოჩნდა. საწყობის გამგე რ. სუპატაშვილი ჩვენი სპორტსმენებისთვის, ნაკრები გუნდებისთვის განკუთვნილ დეფიციტურ სპორტულ ფორმასა თუ სხვადასხვა აღჭურვილობას ანიავებდა, ნაცნობ-მეგობრებს ურიგებდა და, როცა ხელმძღვანელი მუშაკების მხრიდან წაყრუება შენიშნა, სულ გათავხედდა და დიდძალი თანხა მიითვისა. ეს იმიტომ მოხდა, რომ სპორტკომიტეტში გამეფებული იყო უკონტროლობა, უყაირათობა, მეგობარ-ამხანაგების მაამებლობის ატმოსფერო.

პროტექციონიზმს მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი მოწონებით მიიღეს რესპუბლიკის მშრომელებმა. საწარმოდაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამართულ პარტიულ კრებებზე გამოსული ამხანაგები მკაცრად აკრიტიკებენ წინა წლებში ჩვენში მავნე მოვლენებს. მათ დღის სინათლეზე გამოაქვთ პროტექციონიზმის უხამსი ფაქტები. სწორედ ასეთი პარტიული კრება ჩატარდა ამას წინათ რესპუბლიკის სპორტკომიტეტში.

კრების მონაწილეებმა ამხილეს პროტექციონიზმის ფაქტები, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობაში, ილაპარაკეს იმ დიდ ამოცანებზე, რომლებიც დასახულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ და გამოთქვეს რწმენა, რომ ზემდგომი ორგანოების მითითებათა განუხრელად შესრულება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ წინსვლას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „რესპუბლიკაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტია. იგი ეხება საქმიანობის ყველა სფეროს, გვეხება ჩვენც — ფიზკულტურასა და სპორტში მომუშავე ადამიანებს, რომელთაც ერთი მიზანი უნდა გვამოძრავებდეს: ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას, ახალგაზრდა თაობის ფიზიკურად გაკაჟებას.

ამიტომ ჩვენ მთელი ხმით ვაცხადებთ: ყველა გზა გადავუღობოთ პროტექციონიზმს!

## 11 სახეობა, 500-ზე მეტი მონაწილე

ერთ თვეს მიმდინარეობდა ხობის რაიონის VI სპარტაკიადა, რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს მიეძღვნა. ფინალურ შეჯიბრებებში, რომელიც 11 სახეობაში ჩატარდა, 500-ზე მეტი კაცი მონაწილეობდა.

მძლეოსნობაში I ადგილი ჭალადიდის მეურნეობის გუნდმა დაიკავა. აღსანიშნავია ა. ჯიშკარიანის შედეგი ბირთვის კვრაში (11,90 მ) და ვ. ბარამიასი 100 მეტრზე რბენაში — 12 წამი. სპარტაკიადის ჩემპიონები ჭალადიდელი ლელობურთელებიც გახდნენ.

ვაჟთა შორის კალათბურთში გაიმარჯვა რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის კოლექტივმა, ფრენბურთში — გახთიადის მეურნეობის გუნდმა. ორივე სახეობაში ქალთა შორის ჩემპიონობა მეურნეობა „კოლხეთის“ წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს.

ორი 16-კილოგრამიანი საწონის აწევაში ტოლი არ ჰყავდათ ა. ჯიშკარიანსა და მ. სოსელიას (ორივე — საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი). ველოსპორტში პირველი იყო ხეთის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის გუნდი, ჭადრაკში — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა ნაკრები (ბ. ლომაია, რ. და ბ. ლაგვილავები).

შეჯიბრება კრივში მხოლოდ ოთხ წონით კატეგორიაში ჩატარდა.

დიდი ინტერესი გამოიწვია შერკინებებმა ქართულ, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში.

კომპლექსურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მოიპოვა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ნაკრებმა — 238 ქულა (სამმართველოს უფროსი მ. შურღაია, ფიზკულტურის საზოგადოებრივი ინსტრუქტორები მ. ხასია და მ. სოსელია). II ადგილი ხვდა ნოჯიხევის № 30 პროფტექნიკურ სასწავლებელს — 221 ქულა, III — ჭალადიდის მეურნეობის კოლექტივს — 145 ქულა.

სპარტაკიადის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა რაიონის ნაკრები გუნდები, რომლებიც საქართველოს ზონალურ სპარტაკიადაში მიიღებენ მონაწილეობას.

**ა. სანიკიძე,**
**ხობის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.**

• • •

**სურათზე:** სპარტაკიადის საზეიმო დახურვის წინ.



## ყველაზე სწრაფი ნავები ახლა — ნახევარფინალებში

ლიუცერნი, 4 სექტემბერი. დღეს ყველაზე სწრაფმა ნავებმა „გაკვალეს“ როტზეეს ტბა: შვეიცარიის ამ ქალაქში დაიწყო ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში. 32 ქვეყნის სპორტსმენებმა აიღეს სტარტი შეჯიბრებაში, რომელიც 8 სექტემბრამდე გაგრძელდება. კვირას ფინალური რბოლების შემდეგ გაირკვევა მსოფლიოს უძლიერეს ოსტატთა ვინაობა ნავების 8 კლასში. ასპარეზობის სიახლე გახლავთ ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი.

ერთ-ერთმა პირველებმა გაიმარჯვეს წყვილმოსასმელიანი ორადგილიანი ნავით მოასპარეზე სსრ კავშირის ჩემპიონებმა ი. მალიშევმა და ვ. ბუტკუსმა. მათ გაუსწრეს გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, აშშ-სა და საფრანგეთის სპორტსმენებს და ჯერ მხოლოდ ნახევარფინალის საგზური მოიპოვეს. იმათთვის, ვინც წარუმატებლად იასპარეზა პირველ დღეს, სანუგეშო რბოლები გაიმართება.

დაძაბული იყო ბრძოლა ერთადგილიანი ნავებით მოასპარეზეთა შორის. 19 წლის ნ. დოვგანისა და ამერიკელი დ. დიტცის ნავები ბოლო 100 მეტრზე თანაბრად მიცურავდნენ. ამერიკელმა 0,1 წამით აჯობა დოვგანს და ამ რბოლიდან მხოლოდ ის გავიდა ნახევარფინალში. ამ ორ სპორტსმენს საგმაოდ ჩამორჩნენ ფინეთის, ბულგარეთის, კანადისა და საბერძნეთის წარმომადგენლები. კიეველ ნიჩბოსანს ნახევარფინალის საგზურის მოპოვება სანუგეშო რბოლის მეშვეობით მოუწევს.

როგორც ცნობილია, ამავე ტბაზე 29 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე გაიმართა I მსოფლიო ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში ქალთა შორის. სსრ კავშირის ნაკრებმა პირველობა დათმო გდრ-ის გუნდთან და მოიპოვა 1 ოქროს, 2-2 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი.

ლიუცერნი, 6 სექტემბერი. მხოლოდ სამი ქვეყნის — გდრ-ის, სსრ კავშირისა და აშშ-ს ნიჩბოსანი ვაჟები უდანაკარგოდ აგრძელებენ ბრძოლას მსოფლიო ჩემპიონატში. გერმანელთა ყველა ნავი პირველი დღის ასპარეზობის შემდეგ ნახევარფინალში გავიდა. სსრ კავშირისა და აშშ-ს ზოგიერთ ნავს კი ნახევარფინალში გასვლა ხუთშაბათს გამართული სანუგეშო რბოლების შემდეგ მოუხდა.

დღეს შეჯიბრების მონაწილენი ისვენებენ. ნახევარფინალების დღეა 7 სექტემბერი, ხოლო ფინალებისა — 8 სექტემბერი. (საკდესი).

## საქართველოს სპორტკომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით კომიტეტის **საპატიო სიგელით** დააჯილდოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექსასწავლებლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის კოლეგიის წევრი **კ. მიქიაშვილი.**

• • •

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის და დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით კომიტეტის **საპატიო სიგელით** დააჯილდოვა უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 2 რესპუბლიკური სპორტული სკოლის დირექტორი **რ. ზაალიშვილი.**

## „ლელოს“ გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციაში მივიღეთ წერილი, რომელშიც ქობულეთის რაიონის სოფელ გორგაძეების კოლმეურნეობის კომკავშირელთა ჯგუფი სოფელში ფიზკულტურისა და სპორტის უნუგეშო მდგომარეობის შესახებ გვწერდა.

წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა პარტიის ქობულეთის რაიკომს.

როგორც საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის მეორე მდივანი ს. ინაიშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები ნაწილობრივ დადასტურდა. ამჟამად გორგაძეების კოლმეურნეობის გამგეობისა და პირველადი პარტორგანიზაციის მიერ დასახულია ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.




## სსრ კავშირის პირველობა

## „ნეფთჩის" დაკარგული ქულა ● როსტოვის არმიელთა გამარჯვება

### I ლიგა

6 სექტემბერს გამართული შეხვედრები ასე დამთავრდა: „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „ნეფთჩი" (ბაქო) 0:0, ასკ (დონის როსტოვი) — „პამირი" (დუშანბე) 2:0, „შინიკი" (იაროსლავლი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 2:4, „დინამო" (მინსკი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 2:1, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 3:1, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „კუზბასი" (კემეროვო) 3:1.

### II ლიგა III ზონა

6 სექტემბერს გაიმართა მორიგი შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

#### „დინამო" (ზუგდიდი) — „დინამო" (ბათუმი) 1:0

გასაგებია ის გარემოება, რამაც ზუგდიდელი ფეხბურთელები აიძულა ძალების მაქსიმალური დაძაბვით ეთამაშათ ლიდერთან შეხვედრაში. რა თქმა უნდა, დიდი პასუხისმგებლობის ჭიამე დგას ბათუმის „დინამოც", რომელიც ზონაში გამარჯვებისთვის იბრძვის, მაგრამ ზუგდიდის გუნდს, როგორც იტყვიან, უკან დასახევი გზა არა აქვს და ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.

და მასპინძლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რათა წარმატებით დაემთავრებინათ ძნელი მატჩი გათამაშების ლიდერთან. უკვე მე-10 წუთზე ლომსაძემ ხელსაყრელი მდგომარეობიდან ააცდინა ბურთი მიზანს, რამდენიმე წუთის შემდეგ კი კემულარიამ შორიდან ზუსტად დაარტყა საჯარიმო და ბურთი სტუმრების კარის ბადეში აღმოჩნდა — 1:0.

ბათუმელები იძულებული იყვნენ გაეძლიერებინათ ტემპი და თამაშმა თანდათან გადაინაცვლა საწინააღმდეგო ნახევარზე, სადაც საიმედოდ, კარგად ითამაშეს ზუგდიდელთა მეკარემ და მცველებმა.

შესვენების შემდეგ მასპინძლები კვლავ ენერგიულად, აქტიურად იბრძოდნენ, ლიდერი იძულებული იყო მხოლოდ ეპიზოდური კონტრშეტევებით დაკმაყოფილებულიყო. საბოლოოდ, ანგარიში არ შეცვლილა და ზუგდიდის „დინამომ" აიღო მეტად საჭირო 2 ქულა.

ზ. ალშიბაია.

#### „კოლხეთი" (ფოთი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 3:1

ფოთელმა ფეხბურთელებმა დიდი მონდომებით, ენერგიულად ითამაშეს პირველივე წუთებიდან და საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობით წარმართეს შეხვედრა. სამტრედიელთა დაცვითს რგოლებს მძიმე დატვირთვა დააწვა, მათს კართან არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ გოლი კარგა ხანს არ ჩანდა. მხოლოდ მაშინ, როცა ტაიმის დამთავრებას სულ რაღაც ნახევარი წუთი აკლდა, სანაიამ შეძლო „კოლხეთის" დაწინაურება — 1:0.

კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა ფოთელთა უპირატესობა მეორე ტაიმში. 55-ე წუთზე არზიანის მიერ დარტყმული ბურთი ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა „ლოკომოტივის" ერთ-ერთმა მცველმა, კიდევ 2 წუთის შემდეგ კი სტუმრების საჯარიმო მოედანზე გასული სანაია უხეშად წააქციეს, რისთვისაც დაინიშნა 11-მეტრიანი. იგი ზუსტად გამოიყენა მადანმა — 2:0.

სამტრედიელთა ერთ-ერთი კონტრიერიშისას „კოლხეთის" მცველებმა დაუშვეს შეცდომა, რომლის შედეგად ბოჭორიშვილმა შეამცირა ანგარიშში სხვაობა, მაგრამ შემდგომში მასპინძლებმა კიდევ ერთხელ მიაღწიეს წარმატებას (ბურთი გაიტანა სუკიასიანმა) და გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი.

ზ. ზასილაია.

# ფაინა მელნიკის ფრთოსანი ბადრო

რომი, 6 სექტემბერი. ვფიქრობთ, ევროპის ჩემპიონატში ფაინა მელნიკის მეორე გამარჯვება ყველაზე „სწრაფი" იყო მის სპორტულ წარმატებათა ისტორიაში. 11 უძლიერესი ბადროს მტყორცნელის დავა სტარტიდან 15 წუთის შემდეგ გადაწყდა. პირველსავე ცდაზე მოსკოველმა ბადრო მსოფლიო რეკორდის აღმნიშვნელი წითელი ალმის მახლობლად ტყორცნა. მართლაც, მელნიკმა 69 მეტრზე ისროლა ბადრო, რაც მხოლოდ 90 სანტიმეტრით უარესია მისსავე მსოფლიო რეკორდზე.

მანამდე კი, სანამ ბადროს მოკიდებდა ხელს, ჩემპიონი შეიარაღდა... ცოცხით. მან გულმოდგინედ მოასუფთავა ბეტონის წრე და მხოლოდ ამის შემდეგ შევიდა ბადროს სატყორცნელად, რამაც შეჯიბრების ბედიც გადაწყვიტა.

შეჯიბრების დროს მელნიკი სიმშვიდეს ინარჩუნებდა, მაგრამ წრეში უცბად „ფეთქდებოდა". იყო მომენტი, როცა მსაჯებმა ფაინა დიდხანს არ შეუშვეს წრეში: 1500 მეტრზე რბენა იწყებოდა და სტადიონი აზანზარდა. მსაჯებმა მოცდა ამჯობინეს, სანამ სტადიონი დაწყნარდებოდა. რა თქმა უნდა, ხმაური ხელს უშლის სპორტსმენს, მაგრამ ამ წუთებში ფაინა, როგორც ჩანს, „გადაიწვა" და თუმცა ძალიან ეცადა, „მხოლოდ" 68 მეტრზე ტყორცნა ბადრო. „მხოლოდ" იმიტომ, რომ იგი 80-მეტრიან ზღვარზე ოცნებობს! მართალია, მსოფლიო რეკორდი ვერ დაამყარა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატების უმაღლესი მიღწევით შესანიშნავმა მოსკოველმა სპორტსმენმა საბჭოთა ქვეყანას რომში მეექვსე ოქროს მედალი მოუტანა.

დანარჩენი სპორტსმენებიდან მხოლოდ რუმინელმა ა. მენისმა შეძლო მიახლოვებოდა ჩემპიონს. მისი საუკეთესო მაჩვენებელია 64,62 მ.

სტადიონის საწინააღმდეგო კუთხეში წარმოსადეგი ვაჟები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ყვითელი, წითელი, შავი თუ სხვა ფერის მრგვალი ბურთულების კვრაში. ტრიბუნებიდან ბირთვი მსუბუქი გეჩვენება, როგორც საბავშვო ბურთი, ხოლო სინამდვილეში იგი 7 კილოგრამზე მეტს იწონის.

საბჭოთა ბირთვის მკვრელებისთვის, რომლებიც მეტოქეებს შეხედულებით და აღნაგობით არაფერში ჩამოუვარდებიან, „აქილევსის ქუსლად" რჩება საკუთარი ნერვები. როცა ამ მხარეს მოუვლიან, ბირთვიც შორს მიფრინავს (როგორც ეს იყო, მაგალითად, მეხიკოს ოლიმპიადაში, სადაც ე. გუშჩინმა ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა). მაგრამ, სამწუხაროდ, სხვანაირადაც ხდება. ამ პირველობის წინ მოსკოვში გამართულ შეჯიბრებაში ლენინგრადელმა ა. ბარიშნიკოვმა, საბჭოთა ქვეყანაში ერთადერთმა მსოფლიო კლასის ბირთვის მკვრელმა, რომელიც თავისი მასწავლებლის, ცნობილი მწვრთნელის ვ. ალექსეევის მიერ დამუშავებული მეთოდით ასპარეზობს, ევროპის რეკორდი დაამყარა — 21,70 მ. ასეთი შედეგით ბარიშნიკოვი უდავოდ მოიგებდა ასპარეზობას რომში, მაგრამ როგორ არ ჰგავდა ბარიშნიკოვის აქაური ასპარეზობა მოსკოვისას! საუკეთესო ცდაზე მისი მაჩვენებელია 20,13 მ. ამან მას მხოლოდ IV ადგილი მოუტანა.

გაიმარჯვა გდრ-ის წარმომადგენელმა ჰ. ბრიზენიკმა, რომელმაც შეინარჩუნა კონტინენტის ჩემპიონობა. მისი შედეგია 20,50 მ. V ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა ვ. ვოიკინმა — 20,07 მ.

თუმცა ისეთი შეჯიბრებები, როგორიცაა ევროპის პირველობა, ნებისმიერი სპორტსმენისთვის უდიდესი გამოცდა გახლავთ, მაგრამ „ნერვების შეჯიბრებაში" თვით ყველაზე მაღალი წოდებებისა და მიღწევების მფლობელნიც კი შედრკებიან ხოლმე. მაგალითად, მხოლოდ მეექვსე იყო ოლიმპიური ჩემპიონი, პოლონელი ვ. კომარი, რომელიც ვერა და ვერ გასცდა 20-მეტრიან ზღვარს. მეთერთმეტე იყო ახალგაზრდა ფინელი ათლეტი რ. შტალბერგი, რომელმაც მიმდინარე სეზონში 21,26 მეტრს მიაღწია. და აი, მან აქ მხოლოდ 19,25 მ აჩვენა.

საბჭოთა გუნდის მიერ მოპოვებულ მეშვიდე ოქროს მედალს ორმაგად სასიხარულო შეიძლება ვუწოდოთ: იგი მოიხვეჭა 22 წლის ლენინგრადელმა ვ. კიშკუნმა, რომლის სპორტული სპეციალობა ჭოკით ხტომა გახლავთ, მძლეოსნობის სწორედ ის სახეობა, სადაც საბჭოთა სპორტსმენებს ჯერ არასდროს გაუმარჯვნიათ ევროპის ჩემპიონატებში. და ეს დღეც დადგა! ვლადიმერმა უნაკლოდ, პირველივე ცდაზე დაძლია 535 სმ. ასეთივე სიმაღლე ხუთსაათიანი მარათონული ბრძოლის შემდეგ მეორე ცდიდან დაძლია პოლონელმა ვ. კაზაკევიჩმა. ორივემ გაიმეორა ევროპის ჩემპიონატების უმაღლესი მიღწევა. ბრინჯაოს მედალი სვერდლოვსკელმა ი. ისაკოვმა მოიხვეჭა — 530 სმ.

მძლეოსნობის იტალიელ მოყვარულებს ჩემპიონატის მეოთხე დღე საზეიმო გაუთენდათ: რომაელი სტუდენტი პ. მენეა კონტინენტის ჩემპიონი გახდა 200 მეტრზე რბენაში — 20,6. 10 წუთის მანძილზე სტადიონის ტრიბუნებზე მხოლოდ ერთი სიტყვა — „პიეტრო, პიეტრო" ისმოდა. რა თქმა უნდა, არ ვამცირებთ მენეას გამარჯვებას, მაგრამ შევნიშნავთ: ჯერ კიდევ გუშინ იტალიელმა ჟურნალისტებმა შვებით ამოისუნთქეს, როცა გაიგეს, რომ 200 მეტრზე ასპარეზობაში მონაწილეობას არ მიიღებდა ვ. ბორზოვი. ისინი დამაჯერებლად უწინასწარმეტყველებდნენ გამარჯვებას მენეას.

200 მეტრზე ქალთა ფინალური გარბენი მოიგო პოლონელმა ი. შევინსკამ, რომელმაც აქ მეორედ მოიხვეჭა ჩემპიონის წოდება პირველობების უმაღლესი მიღწევით — 22,51. მეოთხე იყო მოსკოველი ლ. მასლაკოვა.

ზ. ბუხოვცევი,
ლ. პოლუნინი.
(საკდესის სპეც. კორ.).

# ნაკრები ემზადება

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა დაიწყო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მზადების დასკვნითი ეტაპი. პირველ მატჩამდე დარჩა თვენახევარზე ცოტა მეტი — 30 ოქტომბერს ნაკრები ხომ ირლანდიაში მასპინძლებს ხვდება.

6 სექტემბერს უმაღლესი ლიგის 11 კლუბის ფეხბურთელებმა, რომლებიც მწვრთნელების კ. ბესკოვისა და ი. მოროზოვის მიერ ორად იყვნენ გაყოფილი, მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე ამხანაგური მატჩი გამართეს.

პირველ შემადგენლობაში თამაში დაიწყეს: პროხოროვმა, ტროშკინმა, ოლშანსკიმ, ლეშჩუკმა, ფომენკომ, ბუტურლაკინმა, კოლოტოვმა, შეპელმა, ანდრეასიანმა, ბურიაკმა და ბლოხინმა; მეორეში — კოლტუნმა, ძოძუაშვილმა, ხუდიევმა, სარქისიანმა, მალიგინმა, იარემჩენკომ, დეგტიარიოვმა, ხაძიპანაგისმა, ფიოდოროვმა, ანმა და ნიკონოვმა.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3. ანგარიში გახსნა დეგტიარიოვმა. შემდეგ ოლშანსკიმ ორი ბურთი გაიტანა. მეორე ტაიმში ხაძიპანაგისმა და ანის შემცვლელმა გლადილინმა მეორე შემადგენლობა დააწინაურეს, ხოლო თამაშის დამთავრებამდე 17 წუთით ადრე ბუტურლაკინმა კვლავ გააყაიმა ანგარიში.

მეორე ტაიმში გუნდების შემადგენლობებში კვლავ მოხდა ცვლილებები, ხუდიევი მეორე შემადგენლობიდან გადაყვანილ იქნა პირველში, სადაც შეცვალა ოლშანსკი, ხოლო ხუდიევის ნაცვლად მ. მაჩაიძე გამოვიდა. დეგტიარიოვი შეცვალა ფილატოვმა.

თუ ამ საწვრთნელ თამაშში პირველი შემადგენლობის ფეხბურთელები ზედმეტად აკადემიურად, დუნედ თამაშობდნენ, მეორე შემადგენლობის მოთამაშეებმა ბევრი გონებამახვილობა გამოამჟღავნეს, განსაკუთრებით თავდასხმაში, სადაც მონდომებით, ცინცხალი თამაშით გამოირჩეოდნენ ტაშკენტელები ფიოდოროვი და ხაძიპანაგისი, აგრეთვე, მოსკოველი ნიკონოვი.

26 და 29 სექტემბერს სსრ კავშირის ნაკრები ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს ჰოლანდიისა და იტალიის საკლუბო გუნდებთან. დაგეგმილია ერთი საწვრთნელი მატჩის გამართვაც ოქტომბრის შუა რიცხვებში. (საკდესი).

## „ავაზა" იწვევს

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ბავშვთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა „ავაზა" (სკოლის დირექტორი სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. მესხი) აწარმოებს 1965 წელს დაბადებულ ბავშვთა მიღებას.

მსურველთა გასინჯვა იწარმოებს ყოველდღე 10-12 და 15-18 საათებში, შემდეგი მისამართით: დიღმის მასივი, III კვარტალი, მე-18 კორპუსი.

## ხელშეკრულება... 10 წლით

„ამსტერდამმა" საინტერესო ხელშეკრულება დადო ეროვნული ნაკრების მეკარე იონგბლადთან. ხელშეკრულება უმაგალითოდ ხანგრძლივი გახლავთ — 10 წლის ვადით! 3 წლის მანძილზე იონგბლადი კარს დაიცავს, მომდევნო 7 წლის მანძილზე კი მწვრთნელად იმუშავებს მეკარეებთან.

## ლატო — ფეხბურთელი და... კალათბურთელი

ამ სურათებზე წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, პოლონეთის ფეხბურთელთა ნაკრების თავდამსხმელი გჟეგოჟ ლატოა აღბეჭდილი. სხვათა შორის, ამ რამდენიმე დღის წინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს სწორედ მან გაუტანა ერთადერთი გოლი (ვარშავაში გამართული მატჩი გდრ-ის ეროვნულმა გუნდმა მოიგო — 8:1).

ზედა სურათზე ლატოს თავის ამპლუაში ხედავთ. აქ მსოფლიო ჩემპიონატში არგენტინელებთან მატჩის ერთ-ერთი მომენტია აღბეჭდილი.

ქვედა სურათზე პოლონელი ფეხბურთელი კალათბურთში ცდის ძალას.

ტ. პრაჟმოვსკისა და ე. ვარმინსკის ფოტოები.







# ადამიანი-პლანერი

ადამიანმა იოლად მოსწყვიტა მიწას უცნაური ნაგებობა, რაღაც საშუალო თვითმფრინავის ფრთასა და პარაშუტს შორის, ქარის საწინააღმდეგოდ მიმართა და ჰაერის ალმავალი ნაკადის ძებნა დაიწყო. მის ხელში ფრთა შეირხა და თითქოს საჭირო ნაკადი „დაიჭირაო", მოულოდნელად მაღლა წავიდა. მოირბინეს დამხმარეებმა და ძლივს გააჩერეს ნაგებობა მიწაზე.

ასეთი იყო მდინარე შექსნის ნაპირზე დელტაპლანის პირველი საცდელი გაფრენა. მისი შემქმნელია ჩერეპოვეცის ავტოსაწარმოს მექანიკოსი ა. ვოლკოვი. მან თავისი ნაგებობა მძლეოსნური ჭოკებისგან და საპარაშუტო ქსოვილისგან ააგო. პირველსავე გამოცდაზე 80-მეტრიანი საბაგირო თოკით დიდ ბოძზე გამობმულმა დელტაპლანმა თავისი შემქმნელი ათ მეტრზე აიყვანა და წრის შემოხაზვის შემდეგ რბილად დაეშვა მიწაზე.

დელტაპლანი წარმოადგენს განსაკუთრებული კონსტრუქციის გიგანტურ სამკუთხა საჰაერო ფრანს. ისევე, როგორც ქაღალდის ფრანს, მას შეუძლია დიდხანს იმოძრაოს ჰაერში, მხოლოდ საჭიროა უნარიანად გამოვიყენოთ ჰაერის შემხვედრი ნაკადი. ჩვეულებრივად დელტაპლანს მოტოციკლის, ავტომანქანის ან ძრავიანი ნავის შემწეობით აფრენენ ხოლმე ჰაერში.

ვოლკოვი, რომელიც რამდენიმე ორიგინალური თვითნაკეთი ნაგებობის ავტორია, დიდხანს აგროვებდა პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს მფრინავ სამთომოთხილამურეებსა და წყალმოთხილამურეებზე, ყურადღებით სწავლობდა ფრთების ფოტოგრაფიებსა და ნახაზებს და მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ შეუდგა მფრინავი აპარატის მშენებლობას.

ა. ლევინა.

ჩერეპოვეცი.

(„კომსომოლსკაია პრავდა").

# ახალი ამბავი-74

● გეტებორგი, 6 სექტემბერი. დღეს შვეციის ამ ქალაქის სტადიონის წიდოვან ბილიკზე გაიმართა მსოფლიოს პირადი ჩემპიონატის ფინალური ეტაპი მოტორბოლაში. ყველას აჯობა სპიდვეის შვედმა ოსტატმა ა. მიხანეკმა. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო გ. ხლინოვსკი, რომელმაც X ადგილი დაიკავა. მ. კრასნოვი მეთოთხმეტე გახლდათ, გ. გორდეევმა კი ერთ-ერთ სერიაში დავარდნის შემდეგ შეჯიბრება ვერ დაამთავრა. საინტერესოა ითქვას, რომ შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი ო. ოლსენი (დანია) ამჯერად მხოლოდ მოლოსწინა, XV ადგილზე აღმოჩნდა.

● სოფია, 6 სექტემბერი. ბულგარეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა თავისუფალი სტილის ამერიკელ მოჭიდავეებს უმასპინძლა რესპუბლიკის დედაქალაქში. სტუმართა გუნდი სტამბულის ამასწინანდელ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა. საინტერესო ამხანაგურ მატჩში ახალგაზრდა ბულგარელმა ათლეტებმა შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს — 6,5:3,5.

# ქეიფი სხვის ხარჯზე

სასამართლოს დარბაზიდან

„ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი თეიმურაზ ყანჩაველი კაბინეტში დაფიქრებული იჯდა. შემდეგ წამოდგა, ფანჯარა გამოაღო, ჰაერი ღრმად შეისუნთქა და კმაყოფილმა ჩაილაპარაკა:

— მეგაგენი, საქმე ამიერიდან საათივით აეწყობა. მთავარია სიფრთხილე.

„ჩუმად, ჩუმად, ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს", — ღიღინებდა თავისთვის თეიმურაზი.

მაშ ასე: სოხუმში დანიშნულია „ბურევესტნიკის" სპარტაკიადა. იქ შეიძლება კაცმა დროც კარგად გაატაროს და ხელიც მოითბოს, — ფიქრობდა თ. ყანჩაველი და თან მოქმედების გეგმას აწყობდა. სოხუმში საასპარეზოდ უმაღლესი სასწავლებლების სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენელთა 43 გუნდი შეიკრიბა. აღნიშნული ღონისძიების ფინანსური საქმიანობის ხელმძღვანელად თ. ყანჩაველი დაინიშნა. დატრიალდა თეიმურაზი. მან შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტისგან სპორტსმენებისთვის დასარიგებელი კვების ტალონები მიიღო. თითო ტალონი 2 მანეთისა და 50 კაპიკის ღირებულებისა იყო. ყანჩაველმა ტალონების ნაწილი დაკარგა, რაც დარჩა, იმასაც ისეთ პირებს აძლევდა, რომელთაც სპარტაკიადასთან საერთო არაფერი ჰქონდათ.

...ერთ დღეს თ. ყანჩაველი ქეიფის გუნებაზე დადგა.

— ბიჭებო, აბა თქვენ იცით, უარი არ მითხრათ. რეჟიმი არ ვიცი! დღეს ჩემი სტუმრები ხართ. ერთი კარგი ქეიფი ჩემს კისერზეა. დანარჩენი, დროსტარება და მხიარულება კი თქვენზე იყოს, — უთხრა ყანჩაველმა მასთან დაახლოებულ ზოგიერთ სპორტსმენს. მათ ქიდევ თავის მხრივ სხვებიც დაპატიჟეს.

იმ საღამოს სტუდენტ სპორტსმენთა ჰარი-ჰარალო ცას სწვდებოდა.

როცა ფულის გადახდაზე მიდგა საქმე, თეიმურაზი ცოტა შეწუხდა, დანახარჯი გაევრა. მაგრამ თეიმურაზ ყანჩაველი რის თეიმურაზ ყანჩაველი იქნებოდა, თუ გამოსავალს ვერ იპოვიდა! ქეიფის ხარჯი სპორტსმენებისთვის განკუთვნილი ტალონებით აანაზღაურა, რის გამოც 2152 მანეთისა და 50 კაპიკის ღირებულების ტალონები დააკლდა.

ახლა თეიმურაზის წინაშე მეორე საშიშროება წამოიჭრა, როგორ დაეფარა დანაშაული და დანაკლისი? მან ამჯერადაც „იყოჩაღა". შეადგინა ყალბი უწყისი, სადაც ჩაწერა, თითქოს შეჯიბრებაში მონაწილეობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი 9 სპორტსმენით, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ფრენბურთელ ვაჟთა ორი გუნდი 22 სპორტსმენით. ამასაც არ დასჯერდა და უწყისებში კვების ტალონის მიღებაზე თვითონვე მოაწერა ხელი სხვადასხვა კალიგრაფიით. ამ გზით ყანჩაველმა მოახერხა 2152 მანეთისა და 50 კაპიკის ღირებულების დაფარვა, მაგრამ მართლმსაჯულებას ვერ გაექცა.

თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლომ გ. ბერიძის თავმჯდომარეობით განიხილა თ. ყანჩაველის საქმე და მას 1 წლითა და 6 თვით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა სასჯელის საერთო რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

ზ. მესხიშვილი,
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

# ჩოგბურთის კორტებზე...

## ... ფორესტ-ჰილსში

წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ თბილისელი ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი მეოთხედფინალში გამოეთიშა ბრძოლას ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონის ტიტულისთვის, როცა უიმბლდონის წლევანდელ ჩემპიონ ჯიმ კონორსთან (აშშ) წააგო შეხვედრა.

სხვა მეოთხედფინალური მატჩები ასე დამთავრდა: ჯონ ნიუკომბი (ავსტრალია) — არტურ ეში (აშშ) 4:6, 6:3, 3:6, 7:6, 6:4; კენ როზუოლი (ავსტრალია) — ვიჯეი ამრიტრაჯი (ინდოეთი) 2:6, 6:3, 6:3, 6:2; როსკუ ტანერი — სტენ სმითი (ორივე — აშშ) 7:6, 6:2, 3:6, 6:1.

ახლა ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან კონორსი — ტანერი და ნიუკომბი — როზუოლი.

ინტერესმოკლებული არც მერვედფინალების შედეგები იქნება. ამრიტრაჯმა იოლად დაამარცხა მასპინძელი მარტი რისენი (6:3, 6:3, 6:4), ხოლო როზუოლმა მექსიკელ რაულ რამირესს სძლია — 6:1, 6:7, 7:5, 6:3. ეშმა მოუგო არგენტინელ გილიერმო ვილასს — 6:7, 6:4, 6:4, 7:5. სმითმა ფარხმალი დააყრევინა ავსტრალიელ სიდნეი ბოლს — 6:2, 6:3, 6:7, 6:3. ყველაზე მწვავე ბრძოლა მაინც ტანერსა და ეგვიპტელ ისმაილ ელ შაფეის შორის გაჩაღდა. ტანერმა, რომელმაც მანამდე რუმინელი ილიე ნასტასე „ამოხვერპლა", შეძლო გამარჯვება — 6:3, 6:7, 7:5, 6:7, 7:6.

ამერიკის შეერთებული შტატების ღია პირველობა, რომელიც ყოველწლიურად ეწყობა ფორესტ-ჰილსში, მუდამ იზიდავს მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელებს. ამჯერადაც ასე იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა ტურნირის შემადგენლობაც არანაკლებ ძლიერია. მეოთხედფინალური შეხვედრების შედეგები ასეთია. ივონ გულაგონგმა (ავსტრალია) სძლია თანამემამულე კერი მელვილს — 6:4, 7:5. უიმბლდონის ჩემპიონმა კრის ევერტმა (აშშ) ავსტრალიელ ლესლი ჰანტს მოუგო — 7:6, 6:3, ხოლო ამერიკელ ჩოგბურთელთა ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: ბილი-ჯინ კინგმა აჯობა როზმარი კაზალსს (6:1, 7:6) ჯული ჰელდმანმა კი — ნენსი გაიტერს (7:5, 7:6).

ნახევარფინალებში მეტოქენი ასე დაწყვილდნენ: ევერტი — გულაგონგი და კინგი — ჰელდმანი.

## ... ანკარაში

აქ დიდძალ მაყურებელს იზიდავს ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით ასპარეზობენ საბჭოთა სპორტსმენები. მეოთხედფინალში გასასვლელად მოსკოველმა გ. გრანატუროვამ ანგარიშით 6:1, 6:1 დაამარცხა ე. სუბოთაი, ხოლო ა. ბოგომოლოვმა თურქეთის მესამე ჩოგანს ჰ. ოზდემირს აჯობა — 6:2, 6:2. ასევე კარგად ითამაშა ვ. ბორისოვმა, რომელმაც მოუგო ფინელ მ. ჰორნმას — 6:4, 6:1.

გრანატუროვამ შემდგომაც წარმატებით იასპარეზა და ფინალის საგზურიც მოიპოვა, როცა ავსტრალიელ მერფის აჯობა — 6:2, 6:2.

ფინალში გავიდა ბოგომოლოვისა და ბორისოვის დუეტიც, რომელმაც ნახევარფინალურ შეხვედრაში ოზდემირსა და აიდინს დააყრევინა ფარ-ხმალი — 6:2, 6:4, 6:2.

გადამწყვეტ მატჩში ითამაშებს, აგრეთვე, გრანატუროვასა და ბოგომოლოვის შერეული წყვილი.

ვაჟთა ერთეულების თანრიგის ნახევარფინალში იასპარეზებს ბოგომოლოვი, რომელმაც ამერიკელ ფრიტცს აჯობა — 6:1, 7:5. ბორისოვი მეოთხედფინალში ამერიკელ ფუშბახთან დამარცხდა — 5:7, 3:6.

სპორტული ფუნჯით



უსიტყვოდ.

ვ. მერიშვილის ნახატი.

[illegible] ფიზკულტურისა და სპორტის [illegible] ატარებს სპორტში მომუშავე მწვრთნელ-მასწავლებელთა დამატებით ატესტაციას. ატესტაცია იწარმოებს შემდეგ დღეებში:

9 სექტემბერი. მთამსვლელობა, მეკლდეურობა, ტურიზმი, სპორტის ზამთრის სახეობები.

10 სექტემბერი. კალათბურთი.

11 სექტემბერი. ჭადრაკი, შაში.

12 სექტემბერი. ფარიკაობა, ფრენბურთი.

16 სექტემბერი. კრივი, ცხენოსნობა, თანამედროვე ხუთჭიდი.

17 სექტემბერი. ცურვა, თავისუფალი ჭიდაობა, წყალბურთი.

18 სექტემბერი. კლასიკური ჭიდაობა, ტყვიის სროლა, სასტენდო სროლა, მშვილდოსნობა, ფეხბურთი.

19 სექტემბერი. აკადემიური ნიჩბოსნობა, ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა, ძიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა.

20 სექტემბერი. ველოსპორტი, აკრობატიკა, მხატვრული ტანვარჯიში.

23 სექტემბერი. სპორტული ტანვარჯიში.

24 სექტემბერი. წყალში ხტომა, ბატუტზე ხტომა, აფროსნობა, წყალსამოტორო და წყალსათხილამურო სპორტი, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი.

25 სექტემბერი. მძლეოსნობა.

26 სექტემბერი. ძალოსნობა.

27 სექტემბერი. რაგბი, ხელბურთი.

ატესტაცია იწარმოებს 14 საათიდან.

---

საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს სპორტის ფსიქოლოგიის დარგში უმცროსი მეცნიერი მუშაკის (1 ერთეული) თანამდებობაზე მიღებისთვის.

მსურველებს უნდა ჰქონდეთ პრაქტიკული გამოცდილება ამ დარგში და გამოქვეყნებული შრომები.

კონკურსის ვადაა 1 თვე დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა.

---

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (მოსკოვი)

8 სექტემბერს
სათადარიგო შემადგენლობანი
დასაწყისი 17 ს. 30 წთ.

9 სექტემბერს
ძირითადი შემადგენლობანი
დასაწყისი 19 ს.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება აბონემენტებზე 8 სექტემბერს 12-დან 19 საათამდე სტადიონის სალაროებში, ორგანიზაციებში — 9 სექტემბერს. საერთო გაყიდვა 9 სექტემბერს 10 საათიდან.

---

თბილისი სპორტულ კვირაში

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 8 სექტემბერი. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეშახტე" (ტყიბული). დასაწყისი 16 ს. 11 სექტემბერი. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „მეშახტე" (ტყიბული). 12 ს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 14110